ბიზნესი და სასამართლო -
„ლიდერფუდის“ საქმის სამართლებრივი ანალიზი

მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ივლისი, 2020 წ.
ქ. თბილისი

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი, *ორგანიზაციის ხელმძღვანელი;*
ნიკა გოგბერაშვილი, *მთავარი იურისტი;*
ანა ფუტკარაძე, *სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტი*
ნიკა მენოგნიშვილი, *იურისტი/საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი*
თამარ ციხიშვილი, *იურისტი/ანალიტიკოსი;*
ბერდია ჯაჯანიძე, *იურისტ-კონსულტანტი*

მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი

C ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და ახალი ამბების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202
ორგანიზაციასთან კომუნიკაცია – 599 291202
ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 09 ივლისი, 2012 წელი
მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი,
ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

1. შესავალი

საქართველოს სასამართლოს სისტემაში მიმდინარე რეფორმა არაერთგვაროვანი შეფასების საფუძვლებს ტოვებს და განსაკუთრებული ყურადღება კვლავ საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევებია, რომლებიც საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს შეეხება. ამ თვალსაზრისით, ბოლო პერიოდის დისკუსიის საგანი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციის გამოქვეყნებული რეიტინგები. კერძოდ, მონაცემები Heritage Foundation-ის, მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტისა და მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების კვლევებიდან, რაც ნამდვილად ქმნის ობიექტურ მაჩვენებელსა და წარმოდგენას ქართული სასამართლოს სისტემის მიმართ, ისევე, როგორც საქართველოში ბიზნესის კეთების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რასაც საერთო შეფასებით, ბიზნესის თავისუფლებისა და მისი სამართლებრივი გარანტიების შექმნასთან მივყავართ.

1995 წლიდან მოყოლებული, Heritage Foundation, ყოველწლიურად 180-ზე მეტი ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს ზომავს (ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი), რომელიც დღეისათვის 12 კომპონენტის შეფასებით დგინდება. აღნიშნული კომპონენტები 4 ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული: ***კანონის უზენაესობა*** (საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის კეთილსინდისიერება), ***მთავრობის ზომა*** (ფისკალური სიჯანსაღე, საბიუჯეტო დანახარჯები, საგადასახადო ტვირთი), ***რეგულირების ეფექტიანობა*** (ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება) და ***ბაზრის ღიაობა*** (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება). თითოეული პარამეტრი 100 ქულიანი შკალით ფასდება (*0 - ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე დაბალი დონე, 100 - ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე მაღალი დონე)* და შედეგები პროცენტებში გამოისახება. 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, სასამართლოს ეფექტიანობის მხრივ, საქართველომ მეტწილად თავისუფალ ქვეყანათა კატეგორიიდან მეტწილად არათავისუფალ ქვეყანათა რიგში გადაინაცვლა. კერძოდ, თუკი 2018 წელს სასამართლოს ეფექტიანობის კუთხით, საქართველოს პროცენტული მაჩვენებელი იყო 64.2%, აღნიშნული 9.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2019 წელს 54.6% შეადგინა. ბიზნესის თავისუფლების ინდესი 2019 წელს 2018 წელთა შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა. კერძოდ, 2019 წელს იგი წარმოადგენდა 86.9%-ს, ხოლო 2018 წელს, მან 85.8% შეადგინა. აგრეთვე, შემცირებულია შრომის თავისუფლების პროცენტული პუნქტი 0.7-ით და 76.6% შეადგენს.

ამასთან, ვაჭრობის თავისუფლება 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 88.6% წარმოადგენს, ინვესტირების თავისუფლება უცვლელია და 80% შეადგენს, რაც შეეხება ფინანსური თავისუფლების ინდექსს, იგი 10 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი და 70% წარმოადგენს. აღნიშნული კვლევის მიხედვით, საქართველო ევროპის ქვეყანათა რეიტინგში, ერთი პოზიციით ჩამოქვეითდა (მე-18 ადგილის ნაცვლად, ამჟამად მე-19 ადგილს იკავებს), თუმცა, რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა რეიტინგში, წინა წლის მსგავსად, 2019 წელსაც პირველ ადგილს იკავებს.

მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის მიერ წარმოებული კანონის უზენაესობის 2017-2018 წლების ინდექსის კვლევის თანახმად, საქართველო 2017-2018 წლებში, 4 ერთეულით ჩამოქვეითდა და მსოფლიოში 38-ე ადგილი დაიკავა, მისმა სარეიტინგო ქულამ კი 0.61 შეადგინა. *(ცნობისთვის: სარეიტინგო ქულები მერყეობს 0-დან 1-მდე, სადაც 0 არის უმცირესი, ხოლო 1 უდიდესი შეფასება).* კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის კუთხით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რომელიც მსოფლიოს განსაზღვრული 7 რეგიონიდან მეხუთე ადგილზეა, საუკეთესო სახელმწიფოდ დასახელდა საქართველოში. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, საქართველო კვლავ ინარჩუნებს პირველობას, მიუხედავად იმისა, რომ 2017-2018 წლების ინდექსით, მისი პოზიცია 4 ერთეულით გაუარესებულია. მთავრობის უფლებამოსილებების შეზღუდვის კუთხით, საქართველო 52-ე ადგილს იკავებს. წინა წლებთან შედარებით, პოზიცია გაუარესებულია, ხოლო კორუფციის აღმოფხვრისა და არარსებობის კუთხით - 23-ე ადგილი. წინა წლებთან შედარებით, პოზიცია შენარჩუნებულია.

ამასთან, ამავე კვლევის თანახმად, ღია მმართველობის კუთხით, საქართველო 42-ე ადგილზეა და წინა წლებთან შედარებით, პოზიცია გაუარესებულია.ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის კუთხით, ქვეყანას უჭირავს 46-ე ადგილი. წინა წლებთან შედარებით პოზიცია - გაუარესებულია. პირისა და საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფის კუთხით, სახეზეა 30-ე ადგილი. წინა წლებთან შედარებით პოზიცია - შენარჩუნებულია. სამოქალაქო მართლმსაჯულების უზრუნველყოფის კუთხით, ფისირდება - 55-ე ადგილი. წინა წლებთან პოზიცია - გაუარესებულია.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2019 წლის კვლევის მიხედვით კი, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, საქართველოს პროცენტული მაჩვენებელი 0.48-ით გაიზარდა და 83.28% შეადგინა. შედეგად, საქართველო მსოფლიოში მე-6 ადგილს იკავებს. კვლევაში აღნიშნულია, რომ ბიზნეს საქმიანობის დაწყებისთვის, ახალ ზელანდიასა და საქართველოს აქვთ კანონმდებლობით დადგენილი ყველაზე მცირე რაოდენობის პროცედურები - 1 პროცედურა. როგორც კვლევაშია აღნიშნული, ახალი/არსებითაც შეცვლილი საგადასახადო სამართლის/კოდექსის შემოღების გზით, საქართველომ გადადგა ნაბიჯები მცირე ინვესტორების დაცვის გაძლიერების და გადასახადების გადახდის გაიოლების კუთხით. გამარტივდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება საქმის განაწილების შემთხვევითი და ავტომატური წესის დანერგვის გზით. ბიზნესის დაწყების კუთხით საქართველო მე-2 ადგილს იკავებს. სამშენებლო ნებართვების უზრუნველყოფის კუთხით - 27-ე ადგილს. ელექტროობით უზრუნველყოფის კუთხით - 39-ე ადგილს. საკუთრების დარეგისტრირების კუთხით - 4-ე ადგილს და ა.შ.

საერთაშორისო კვლევებში წარმოჩენილი ტენდენციები პრაქტიკულ მნიშვნელობას და ანალიზის საჭიროებას იძენს მაშინ, როდესაც ხელშესახები ხდება სასამართლოსა და ბიზნესის ურთიერთობების საკითხი. უწინარესს ყოვლისა, ასეთი მაღალი საჯარო ინტერესი ყოველთვის ჩნდება, როდესაც სახეზეა სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებულია ბიზნესის უფლებებთან და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასთან. საკმარისია გავიხსენოთ *„Philip Morris International"* ან/და *„ბრითიშ ამერიქან თობაქოს"* გახმაურებული საქმეები, რომელიც ქართულმა სასამართლომ განიხილა და დადგა მიუკერძოებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემის საკითხი. სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, 2020 წლის მაისის თვეში, საზოგადოებისთვის მასობრივი საინფორმაციო-საშუალებებით ცნობილი გახდა დავა, რომლიც შეეხება კომპანია „ლიდერფუდის" მოქმედი და ყოფილი მესაკუთრეების ერთმანეთთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. საქმეზე საჯარო ინტერესი ემსახურება მრავალ მილიონიან დავაზე სასამართლოების მიერ მიღებულ *დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.* სასამართლო დადანაშაულებულ იქნა სავარუდო კორუფციასა და გავლენის ჯგუფების კონტროლთან კავშირში. შესაბამისად, ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო ბიზნეს დავის ირგვლივ სასამართლოს *დასაბუთებული გადაწყვეტილების* შესწავლის ინტერესს და 2020 წლის 2 ივნისს საკითხს საჯარო განცხადებით გამოეხმაურა[1].

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სასამართლოს მხრიდან ბიზნეს-დავების განხილვა ნდობის მაღალ ხარისხს უნდა ეფუძნებოდეს და ვინაიდან „ახალგაზრდა ადვოკატები" თავის არაერთ შეფასებაში, შერჩევითი მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფორმად სწორედ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენებას მიიჩნევს, ვინაიდან „ლიდერფუდთან" მიმართებითაც სწორედ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას ჰქონდა ადგილი, საქმე ექცეოდა საჯარო ინტერესის ფარგლებში.

2020 წლის 29 მაისს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა" წერილით მიმართა პროცესის მონაწილე მხარის წარმომადგენლებს, ბატონ არჩილ კბილაშვილსა[2] და ბატონ პაატა სალიას[3], სადაც აღინიშნა, რომ ერთ-ერთი მხარის თანხმობის შემთხვევაში, ორგანიზაცია შეძლებდა საკითხის სამართლებრივ შესწავლას, თუ მოხდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების ასლების გადმოცემა. წერილს, როგორც არჩილ

[1] http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1547
[2] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების" 2020 წლის 29 მაისის წერილი #153 ბატონ არჩილ კბილაშვილის მიმართ;
[3] ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების" 2020 წლის 29 მაისის წერილი #152 ბატონ პაატა სალიას მიმართ;

კბილაშვილის იურიდიული ფირმა, ასევე მოსარჩელე ირაკლი დუმბაძის წარმომადგენელი, ავთანდილ თეთრაშვილი გამოეხმაურა და მზადყოფნა გამოთქვეს მასალების გადმოცემაზე. მასალები, რომლის შინაარსობრივი მხარეც გადმოცემულია მონიტორინგში, ორგანიზაციას მოსარჩელე ირაკლი დუმბაძისა და მოპასუხე დავით ზეიკიძის წარმომადგენლებმა, თანაბრად მიაწოდეს.

ორგანიზაცია არავითარ შემთხვევაში, არ განიხილავს დავის შინაარს და არ წარმოადგენს მათზე რაიმე სახის შეფასებას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს და მხარეთა შეჯიბრებითობიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთს. ორგანიზაციის მიზანია, შეაფასოს მხოლოდ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინაპირობები და წარმოადგინოს ხედვა, თუ რამდენად კანონიერი, დასაბუთებული და იურიდიულად მყარი აქტია სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

2 საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე

2019 წლის 17 მაისს ირაკლი დუმბაძის წარმომადგენელმა პაატა სალიამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე დავით ზეიკიძის მიმართ ირაკლი დუმბაძესა და დავით ზეიკიძეს შორის 2018 წლის 21 მარტს დადებული, შპს „ლიდერი-ფუდის" 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობისა და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ირაკლი დუმბაძისთვის შპს „ლიდერი-ფუდის" 50% წილის დაბრუნების შესახებ[4].

სარჩელში აღნიშნულია, რომ ირაკლი დუმბაძე და დავით ზეიკიძე არიან ნათესავები. კერძოდ, დავით ზეიკიძე ირაკლი დუმბაძის მეუღლის მამაა. დავით ზეიკიძე ფლობდა ხორც-პროდუქტების მწარმოებელ კომპანიას „ზეიკიძეს", ამჟამად შპს „შაროლე". 2008 წლის 15 დეკემბერს დაფუძნდა შპს „ლიდერი-ფუდი", რომლის 100% წილის მესაკუთრე და დამფუძნებელი იყო ირაკლი დუმბაძე. ირაკლი დუმბაძემ დავით ზეიკიძის ვაჟს, დიმიტრი ზეიკიძეს 2012 წელს გადასცა კომპანიის 50% წილი.

სარჩელის მიხედვით, დავით ზეიკიძემ ირაკლი დუმბაძეს შესთავაზა კომპანიების „ლიდერი-ფუდის", „შაროლეს", „ეკონომმიქსის" და „ZEI"-ს გაერთიანება, რის შემდეგაც გაერთიანებულ კომპანიაში წილები გადანაწილდებოდა შემდეგი პროპორციით: 40% - დიმიტრი ზეიკიძე, 40% - ვიტალი ზეიკიძე, 20% - ირაკლი დუმბაძე. ირაკლი დუმბაძის უარის შემდეგ, დავით ზეიკიძემ მის მიმართ დაიწყო ზეწოლის განხორციელება, რის გამოც, ირაკლი დუმბაძე იძულებული გახდა 2018 წლის 21 მარტს, სრულად გადაეფორმებინა მისი კუთვნილი წილი შპს „ლიდერი-ფუდში" დავით ზეიკიძისთვის. წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის ფასად მითითებულია 1 000 000 ლარი, რაც მხარის აზრით, ბევრად ნაკლებია მის რეალურ საბაზრო ფასზე. ირაკლი დუმბაძე წინადადებას დასთანხმდა გაერთიანებულ აქტივებში 20%-ისა და 1 000 000 ლარის მიღების სანაცვლოდ.

2017 წელს, ირაკლი დუმბაძემ ორ პარტნიორთან ერთად დააფუძნა შპს „დუმორი", რომელსაც უნდა შეეძინა 50% წილი შპს „არქი უნივერსალში". შპს „დუმორის" პარტნიორთა შეთანხმების თანახმად, მათ უნდა შეეტანათ საზოგადოების კაპიტალში 2 000 000 აშშ დოლარი თავისი წილების პროპორციულად (ირაკლი დუმბაძის წილი შეადგენდა 18%). შენატანები უნდა განხორციელებულიყო 2018 წლის ბოლომდე.

სარჩელის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ წილის ნასყიდობის შესაბამისად, ირაკლი დუმბაძეს თანხა უნდა მიეღო რეგისტრაციიდან 45 დღეში, ეს ვალდებულება არ შესრულდა. მისი არაერთი ზეპირი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა. მას არ მიუღია წილი გაერთიანებულ კომპანიაში და არც საკომპენსაციო თანხა, რის გამოც ვერ უზრუნველყო შპს „დუმორის" პარტნიორთა 2017 წლის 20 დეკემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. შედეგად, 2019 წლის 8 აპრილს, ირაკლი დუმბაძემ უსასყიდლოდ გადსცა წილი დანარჩენ პარტნიორებს.

სარჩელის მიხედვით, 2019 წლის 2 მაისს, ირაკლი დუმბაძემ გაფრთხილების წერილი გაუგზავნა დავით ზეიკიძეს, რომელიც ამ უკანასკნელს ჩაბარდა 2019 წლის 3 მაისს. გაფრთხილების წერილით, ირაკლი დუმბაძემ დავით ზეიკიძეს მოსთხოვა ვალდებულების შესრულება და კიდევ ერთხელ განუსაზღვრა დამატებითი - 5 სამუშაო დღე. წერილის პასუხად, დავით ზეიკიძეს არაფერი უცნობებია ირაკლი დუმბაძისთვის და მხარის განმარტებით, არც ვალდებულება შეუსრულებია. ირაკლი დუმბაძე განმარტავს, რომ მას სრულად აქვს დაკარგული დავით ზეიკიძესთან დადებული გარიგების ინტერესი. გასულია გაფრთხილების წერილით განსაზღვრული დამატებითი ვადა და შესრულება მიღებული არ არის.

[4] ირაკლი დუმბაძის სამოქალქო სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ, რეგ: 17.05.2019, შემოსვლის #3000078

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარემ სარჩელით მოითხოვა შეწყდეს ირაკლი დუმბაძესა და დავით ზეიკიძეს შორის 2018 წლის 21 მარტს გაფორმებული, შპს ,,ლიდერი-ფუდის" 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, ირაკლი დუმბაძეს საკუთრებაში დაუბრუნდეს შპს „ლიდერი-ფუდის" 50% წილი (ირაკლი დუმბაძე აღირიცხოს შპს „ლიდერი-ფუდის" 50% წილის მესაკუთრედ).

2019 წლის 10 ივნისს, მოსარჩელის წარმომადგენელმა პაატა სალიამ წარმოადგინა ფოსტის შეტყობინების ბარათი, რომლის მიხედვით, ირაკლი დუმბაძის სარჩელი და თანდართული მასალები, დავით ზეიკიძისათვის გადასაცემად, 2019 წლის 22 მაისს ჩაბარდა შპს „ლიდერი-ფუდის" თანამშრომელს, ნათია კიკალეიშვილს. მოპასუხე დავით ზეიკიძეს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) უნდა წარმოედგინა სასამართლოში 2019 წლის 03 ივნისის ჩათვლით, მაგრამ მოპასუხეს სასამართლოში დადგენილ ვადაში წერილობითი პასუხი (შესაგებელი) არ წარმოუდგენია და არც წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. მოპასუხე დავით ზეიკიძე გაფრთხილებული იქნა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით, სასამართლო საქმეზე გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

2019 წლის 17 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმეზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება - ირაკლი დუმბაძის სარჩელი დაკმაყოფილდა, შეწყვეტილად იქნა ირაკლი დუმბაძესა და დავით ზეიკიძეს შორის 2018 წლის 21 მარტს დადებული შპს ,,ლიდერი-ფუდის" კაპიტალის 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და ირაკლი დუმბაძე აღირიცხა შპს ,,ლიდერი-ფუდის" კაპიტალის 50% წილის მესაკუთრედ[5].

2019 წლის 27 და 28 ივნისს დავით ზეიკიძის წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საჩივრის ავტორის მითითებით, მოსარჩელე მხარის გზავნილი შპს ,,ლიდერი-ფუდში“ ჩაიბარა შ.პ.ს. ,,ლიდერი-ფუდის“ ოფისის მენეჯერმა ნათია კიკალეიშვილმა. დავით ზეიკიძეს შრომითი ურთიერთობები არ გააჩნია შ.პ.ს. ,,ლიდერი-ფუდთან“ და არ არის მისი სამუშაო ადგილი, რის გამოც შ.პ.ს. ,,ლიდერი-ფუდში“ წარდგენილი გზავნილი, რომელიც მიიღო ნათია კიკალეიშვილმა, არ უნდა ჩათვლილიყო დავით ზეიკიძისთვის ჩაბარებულად. ამასთან, საწარმოში მიტანილი კონვერტი არ იყო სასამართლოს კონვერტი, იგი იყო თეთრი ფერის და მასში სარჩელი არ იყო მოთავსებული. კონვერტში განთავსებული იყო ირაკლი დუმბაძის წერილი ერთ ფურცლად. 2019 წლის 10 ივნისს წარმოდგენილი ფოსტის შეტყობინების ბარათი არ შეიძლება განხილულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პროცესუალური ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან აღნიშნულ დოკუმენტში არსად არის ნახსენები, რომ საფოსტო კონვერტი შეიცავდა სარჩელსა და თანდართულ მასალას. მოსარჩელეს მოპასუხისათვის არ ჩაუბარებია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები და არც სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგენია სასამართლოსათვის. სასამართლოში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო უწყება, რომლის მეორე პირზე ნათია კიკალეიშვილის ხელმოწერა იქნებოდა. არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დამყარებოდა სამართალწარმოების მონაწილე მხარის სავარაუდო კეთილსინდისიერებას და სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების მხოლოდ ვარაუდს. ამ შემთხვევაში, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელე მხარეს, მოსარჩელე მხარეა ვალდებული იყო სასამართლოს წარედგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა

[5] 2019 წლის 17 ივნისის ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქმეზე: №2/10825 -19. მოსამართლე: ლაშა ქოჩიაშვილი.

მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების ფაქტს. იმისათვის, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები დავით ზეიკიძისათვის ჩაბარებულად ჩათვლილიყო, აუცილებელი იყო უწყება ჩაბარებოდა პირადად დავით ზეიკიძეს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ან/და დავით ზეიკიძესთან მცხოვრებ ოჯახის წევრს ან/და დავით ზეიკიძის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. მხარის განმარტებით, ამ შემთხვევაში, „გაურკვეველი ტიპის“ დოკუმენტი ჩაიბარა შპს „ლიდერ ფუდის“ თანამშრომელმა ნათია კიკალეიშვილმა, რომელიც არ გახლდათ დავით ზეიკიძის ოჯახის წევრი, არც დავით ზეიკიძის სამსახურის ადმინისტრატორი და არც დავით ზეიკიძის უფლებამოსილი წარმოამდგენელი. საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდებოდა სარჩელის ჩაბარების ფაქტი, რაც წარმოადგენდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

2019 წლის 26 ივლისის განჩინებით[6], თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, არ დააკმაყოფილა დავით ზეიკიძის საჩივარი 2019 წლის 17 ივნისის საქმეზე: #2/10825-19 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით[7].

2019 წლის 26 ივლისის საოქმო განჩინებით, ამავე სხდომაზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დავით ზეიკიძის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეში წარმოდგენილი ურთიერთსაწინააღმდეგო ექსპერტიზის დასკვნების გამო, განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნის დანიშვნის მოთხოვნაზე[8]. სასამართლოს მოსაზრებით, განიხილებოდა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით და ექსპერტიზის დასკვნა აღნიშნულ გარემოებთან დაკავშირებით, საკითხის გადასაწყვეტად არ იყო ერთდაერთი და არსებითი ხასიათის მტკიცებულება. მხარეთა მიერ საქმეში წარმოდგენილი იქნა ექსპერტიზის დასკვნები და მტკიცებულებები უნდა შეფასებულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად. სასამართოლოს აზრით, განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა.

2019 წლის 26 ივლისის საოქმო განჩინებით, ამავე სხდომაზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დავით ზეიკიძის წარმომადგენლის შუამდგომლობა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნაზე[9]. საჩივრის ავტორი აცხადებდა, რომ მიმართა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს ექსპერტიზის დანიშვნის მიზნით და ექსპერტიზის ჩატარებაზე მიიღო უარი. ვინაიდან, მხარემ ვერ შეძლო თავად მტკიცებულების მიღება, შუამდგომლობდა სასამართლოს დაევალებია შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსთვის განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებაზე. სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ იყო დარღვეული. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო იხილავდა საჩივარს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც მიუთითებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე სპეციალური ცოდნის საჭიროებას, სასამართლოს აზრით, დამატებით კიდევ ერთი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის საჭიროება არ არსებობდა, შუამდგომლობა იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

2020 წლის 31 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, დავით ზეიკიძის სააპელაციო საჩივარი, არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 ივნისის საქმეზე: #2/10825-19

[6] სასამართლო სათათბირო ოთახში გაუსვლელად აცხადებს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს.

[7] 2019 წლის 26 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, საქმე: №2/10825 -19

[8] 2019 წლის 26 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომის ოქმი, საოქმო განჩინება, საქმეზე: №2/10825 -19

[9] 2019 წლის 26 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომის ოქმი, საოქმო განჩინება, საქმეზე: №2/10825 -19

მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ[10].

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა დადგენილად მიიჩნევს გარემოებას მასზედ, რომ მოპასუხე მხარეს სარჩელი და მასზედ თანდართული მასალა, კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა და მხარეს, ასევე განემარტა შესაგებლის საპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შედეგები. პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ დავით ზეიკიძე არის შპს ,,ლიდერი-ფუდი"-ს კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორი, კომპანიის ოფისში, მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა #73, დავით ზეიკიძეს აქვს სამუშაო ოთახი და ამ მისამართზე პირადად იბარებს სხვა გზავნილებს. ასევე, უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის აქვს მიცემული მითითება გზავნილის ჩაბარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხეს გაეგზავნა მისამართზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მოპასუხისთვის მისი ჩაბარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ 2019 წლის 22 მაისს, ფოსტის მეშვეობით, ნათია კიკალეიშვილისთვის ჩაბარებული კონვერტი წარმოადგენდა სასამართლო გზვანილს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების სახით. პალატა იზიარებს სასამართლოს 26/07/2019 წლის განჩინებაში მოყვანილ მსჯელობას 17/06/2019 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. პალატას აზრით, სარჩელით წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასარჩელო მოთხოვნებს იურიდიულად ამართლებდა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). პალატამ უცვლელი დატოვა და გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2019 წლის 26 ივლისს მიღებული საოქმო განჩინებების და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დასაბუთება.

2020 წლის 31 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით[11]. საქმეზე მოპასუხე ირაკლი დუმბაძის მიერ წარდგენილია შესაგებელი საკასაციო საჩივარზე. მოსარჩელე დავით ზეიკიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას (საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას, საქმის წარმოების განახლებას) მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე" და „ე[1]" ქვეპუნქტების საფუძველზე *(გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია),* მოპასუხე ირაკლი დუმბაძის საკასაციო საჩივარზე წარდგენილი შესაგებლით კი, მოთხოვნილია საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა. ამასთან, საკასაციო საჩივრით მოთხოვნილია, სასამართლომ საქმე არ განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

---

[10] 2020 წლის 31 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: #2ბ/7396-19, მოსამართლეები: გენადი მაკარიძე (თავმჯდომარე), რევაზ ნადარაია, ამირან ძაბუნიძე.

[11] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე: ას-273-2020. მოსამართლე: მირანდა ერემაძე.

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

6. სამოქალაქო საქმეზე საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადაა 6 თვე, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე – 2 თვე.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე, საქმე დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში. საქმეზე მიღებული არ არის საქმის დასაშვებად ცნობის ან დაუშვებლად ცნობის გადაწყვეტილება.

ორგანიზაციის მიერ მონიტორინგის ფარგლებში პროცესის მონაწილე მხარეებისგან მიღებული და გაცნობილი მასალა

სასამართლოს აქტები:

- ✓ საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ სარჩელის წარმოებაში მიღების აქტი;
- ✓ 2019 წლის 24 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დავით ზეიკიძის საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ;
- ✓ 2019 წლის 6 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.
- ✓ 2019 წლის 6 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დავით ზეიკიძის საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ;
- ✓ 2019 წლის 17 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო);
- ✓ 2019 წლის 17 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დავით ზეიკიძის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ;
- ✓ 2019 წლის 26 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი;
- ✓ 2019 წლის 26 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ
- ✓ 2020 წლის 31 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმეზე: #2ბ/7396-19;

- ✓ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის აუდიო-ოქმი.

საქმის დოკუმენტაცია:

- ✓ 2019 წლის 22 მაისის ვიდეო - კადრი ფოსტის კურიერის გადაადგილების შესახებ;
- ✓ 2019 წლის 7 ივნისის ირაკლი დუმბაძის წარმომადგენლის წერილი სასამართლოს სარჩელის მოპასუხის მიმართ ჩაბარების შესახებ;
- ✓ 2019 წლის 27 ივნისის დავით ზეიკიძის განცხადება ქალაქ თბილისის პროკურატურის მიმართ;
- ✓ 2019 წლის 27 ივნისის დავით ზეიკიძის საჩივარი სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების თაობაზე;
- ✓ 2019 წლის 28 ივნისის დავით ზეიკიძის საჩივარი სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების თაობაზე;
- ✓ 2019 წლის 10 ივლისის თბილისის პროკურატურის წერილი #13/01-50317 თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის მიმართ;
- ✓ 2019 წლის 15 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ წარდგენილი მასალები;
- ✓ 2019 წლის 16 ივლისის დავით ზეიკიძის შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ;
- ✓ 2019 წლის 17 ივლისის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა #005001719;
- ✓ 2019 წლის 19 ივლისის დავით ზეიკიძის წერილი დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ალტერნატივას";
- ✓ 2019 წლის 22 ივლისის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა #005110219
- ✓ 2019 წლის 25 ივლისის დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ალტერნატივას" დასკვნა #141/02
- ✓ 2019 წლის 26 ივლისის დავით ზეიკიძის შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ;
- ✓ 2019 წლის 27 ივლისის ვიდეო - კადრი ფოსტის კურიერის გადაადგილების შესახებ;
- ✓ 2019 წლის 27 ივლისის ირაკლი დუმბაძის წარმომადგენლის დასკვნითი სიტყვა;
- ✓ 2019 წლის 7 აგვისტოს თბილისის პროკურატურის წერილი #13/01-57320 თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის მიმართ;
- ✓ 2019 წლის 23 აგვისტოს დავით ზეიკიძის განცხადება სასამართლოს განჩინების ჩაბარების შესახებ;
- ✓ 2019 წლის 18 ოქტომბრის დავით ზეიკიძის დისციპლინური საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ;
- ✓ დავით ზეიკიძის სააპელაციო საჩივარი - პირველადი და დაზუსტებული ეგზემპლარის სახით;
- ✓ 2019 წლის 23 ოქტომბრის დავით ზეიკიძის განცხადება ქალაქ თბილისის პროკურატურის მიმართ;
- ✓ 2019 წლის 24 ოქტომბრის დავით ზეიკიძის განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის მიმართ;
- ✓ 2020 წლის 10 მარტის დავით ზეიკიძის წარმომადგენლების საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ 2020 წლის 25 თებერვლის განჩინებაზე;
- ✓ დავით ზეიკიძის საკასაციო საჩივარი;
- ✓ ირაკლი დუმბაძის შესაგებელი საკასაციო საჩივრაზე;
- ✓ ირაკლი დუმბაძის შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე.

3 დასკვნა

ორგანიზაციამ შეისწავლა საქმის მასალები, სასამართლოს გადაწყვეტილებები - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გაადწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, 2020 წლის 31 იანვრის განჩინება, გაანალიზა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვადასხვა საქმეზე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებების შეფასების შესახებ არსებული სამართლებრივი პრაქტიკა, მიდის დასკვნამდე, რომ სარჩელისა და მასზედ თანდართული მასალების ჩაბარების ფაქტი, მართლაც საკამათოა:

ა. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა შპს „სკს“-ს კურიერმა დაადასტურა, რომ 2019 წლის 22 მაისს მან მიიტანა გზავნილი შ.პ.ს. ,,ლიდერი-ფუდი“-ს ოფისში და ჩააბარა ნათია კიკალეიშვილს, კონკრეტულად სასამართლოს კონვერტი იყო თუ არა, არ ახსოვს. სხვა დროსაც, დავით ზეიკიძის სახელზე არსებული გზავნილი ჩაუბარებია დავით ზეიკიძისათვის შპს ,,ლიდერი-ფუდის“ ოფისში და აღწერა, თუ როგორ გამოიყურება სასამართლოს კონვერტის ვიზუალური მხარე,

ბ. მოწმე მერაბ ბაღათურიას ჩვენების მიხედვით, იგი არის შპს ,,ლიდერი-ფუდის“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. მას დავით ზეიკიძისგან აქვს პირდაპირი დავალება, რომ მის სახელზე მისული ყველა წერილი მიიღოს და გახსნას. 2019 წლის 22 მაისის გზავნილი მან აიღო დავით ზეიკიის მაგიდიდან, სასამართლოს გზავნილი არ ყოფილა, კონვერტი არ შეუნახავს.

გ. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 17 ივლისის #005001719 დასკვნის მიხედვით, გამოსაკვლევად წარდგენილი იყო ვიდეომასალა, კერძოდ შპს ,,ლიდერი-ფუდის“-ს ოფისის სამეთვალყურეო კამერის ვიდეოჩანაწერები (2019 წლის 22 მაისს კურიერის ვიზიტი ოფისში), კადრში აღბეჭდილი მამაკაცის ხელთ არსებული კონვერტი სისქის მიხედვით არ შეესაბამება 2 ფურცელმოთავსებულ კონვერტს, და მისი ვიზუალური პარამეტრებით შეესაბამება კონვერტში 49 ფურცელმოთავსებულ კონვერტს. **მამაკაცის ხელთ არსებულ კონვერტზე დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ იგი არის გაფორმების გარეშე არსებული თეთრი ფერის კონვერტი და მას ზედა ნაწილში, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, აღენიშნება მუქი შეფერილობის გაფორმება**. აღნიშნული დასკვნის საპირისპიროდ, დავით ზეიკიძის მიერ წარმოდგენილი იქნა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ-ალტერნატივას 2019 წლის 25 ივლისის დასკვნა, რომლის მიხედვით, **ვიდეოჩანაწერიდან გამომდინარე შეუძლებელია იმის დადგენა თუ რამდენი ფურცელი დევს კონვერტში, რომელიც ვიდეოჩანაწერებში ასახულ მამაკაცს უჭირავს ხელში. ექსპერტიზაზე წარდგენილ ფოტოსურათს და ვიდეოფაილებში ასახულ კონვერტს აქვს სხვადასხვა ფერის შეფერილობა.** კერძოდ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს კონვერტის ფოტოსურათის ნაწილს აქვს ლურჯი ფერის შეფერილობა, ხოლო ვიდეოფაილებში ასახული მამაკაცის ხელში არსებული კონვერტი, როგორც პირითი მხრიდან, ისევე ზურგითი მხრიდან არის თეთრი ფერის.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ თავადაც გაეცნო 2019 წლის 22 მაისის კურიერის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საწარმო დაწესებულებაში, თუმცა ობიექტურად, გონივრული განსჯის საფუძველზე, ცასლახად რთულია იმის თქმა, რომ კადრში სასამართლოს ბრენდირებული კონვერტი ჩანდეს. ფაქტია, კურიერმა არაერთი წერილი გადასცა მოსარჩელისგან მოპასუხეს *(ორგანიზაცია სრულად იზიარებს იმ გარემოებას, რომ იურიდიული მისამართი სწორადაა განსაზღვრული და წერილის მიმღები მენეჯერი უფლებამოსილი იყო ჩაებარებია გზავნილი)* და არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულება, ჩაბარებული გზავნილი ნამდვილად შეეხებოდა თუ არა სარჩელს და თანდართულ მასალებს. აღნიშნული საკამათოა თავად ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასკვნების ფარგლებშიც. სასამართლო ჩაბარების ფაქტს უკავშირებს გზავნილის იურიდიულ მისამართზე მიტანისა და ჩაბარების ფაქტს, თუმცა ორგანიზაციის აზრით, ვერც სიღრმისეული კვლევა გასცემს შეკითხვაზე პასუხს, ნამდვილად ჩაიაბრა თუ არა 2019 წლის 22 მაისს მოპასუხემ მოსარჩელის სარჩელი

და თანდართული მასალები. ასეთი შემთხვევის დაშვების პირობებშიც კი, რაზეც მსჯელობა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა გააგრძელოს, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება და სასამართლოს უნდა მოეხდინა საქმისწარმოების გაგრძელება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია საქმის არსებითი განხილვის გარეშე, არ შემოწმებულა სარჩელით მითითებული ფაქტების სანდოობა, არ შემოწმებულა, ამართლებდა თუ არა სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულ საფუძვლებს, სასამართლოს არ ჰქონდა უტყუარი სამართლებრივი მტკიცება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისთვის, რითაც საფრთხის ქვეშ დადგა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა, მხარეთა თანასწორუფლებიანობა, სამართლიანი სასამართლოს უფლებით თანაბარი სარგებლობა, რაც ყოველთვის არ გულისხმობს იმ რისკის სათანადო შეფასებას, რომლითაც საპროცესო ვადაში სარჩელზე შესაგებლის წარმოუდგენლობა იწვევს მხარის სამართლიან დასჯას, თუ სასარჩელო მოთხოვნა არ ამართლებს იურიდიულ საფუძვლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, *სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, *1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით, 3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.*

განსახილველ შემთხვევაში, *საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამასთან, საქმის განხილვასა და მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებაში მართლმსაჯულების როლი შეზღუდული არ არის. პირიქით, სასამართლოს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, განსაზღვროს მტკიცებულებათა შესაბამისობა-განკუთვნადობის საკითხი, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტით უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად მართებულად და დასაბუთებულად აყენებს მხარე ამა თუ იმ მოთხოვნას.* ამდენად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ იმ საკითხის არსებითი განხილვის გარეშე, ჩაბარდა თუ არა სარჩელი და თანდართული მასალები მეორე მხარეს, ფაქტია, რომ საქმეში არ არსებობს კვალიფიციური შესაგებელი, სარჩელზე შესაგებლის წარმოუდგენლობა კი, ყოველთვის არ ქმნის აუცილებელ წინაპირობას, სასამართლომ საქმეზე მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც წინამდებარე შემთხვევაში, გათვალისწინებული არ ყოფილა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლის თანახმად, *მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში[12] პასუხის (შესაგებლის)*

---

[12] *მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული*

წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ***ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით[13].*** *სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.*

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის დავის საგანი წარმოდგება სახელშეკრულებო დავიდან/გარიგებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, *გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.*

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვს 2018 წლის 21 მარტის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულებიდან გასვლას და საწარმოს 50%-იანი წილის (დაბრუნებას) საკუთრებაში გადაცემას. სარჩელის ფაქტობრივი მსჯელობის მიხედვით, 2018 წლის 21 მარტის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება ირაკლი დუმბაძესა და დავით ზეიკიძეს შორის შედგა ორი გარემოებით: **ა. ირაკლი დუმბაძეს საწარმოს წილების ახალი გადანაწილების პირობებში, უნდა მიეღო დავით ზეიკიძის მხრიდან შეპირებული საწარმოს წილის 20% პროცენტი, თანხა 1. 000.000 ლარის ოდენობით და ბ. დავით ზეიკიძე ირაკლი დუმბაძის მიმართ, 2017 წლიდან ახდენდა ზეწოლას, პირდაპირი მუქარის, დარწმუნების და შანტაჟის გზით.** მხარის განმარტებით, დავით ზეიკიძემ დაპირების მიუხედავად, არ გადასცა ირაკლი დუმბაძეს გაერთიანებული კომპანიის 20% წილი და არც თანხის გადახდის ვალდებულება შეუსრულებია. სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვისა და განჩინების გამოტანის შემდგომ ირაკლი დუმბაძისთვის ცნობილი გახდა დავით ზეიკიძის მიერ განხორციელებული სხვა მოქმედებების შესახებაც. კერძოდ, დავით ზეიკიძემ იმავე დღეს, როდესაც გააფორმა წილის ჩუქების ხელშეკრულება, მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგინა ჩუქების ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე, თავის ორ შვილს გადასცა მის საკუთრებაში არსებული ყველა უძრავი ნივთი *(იხ. ირაკლი დუმბაძის სარჩელი, დავის საგნის მოკლე მიმოხილვა).* ამასთან, საქმის მასალებით აღნიშნულია, რომ დავით ზეიკიძეს არა ფაქტობრივი, რეალური მოცემულობიდან გამომდინარე (რომ მისთვის მართლაც უცნობი იყო აღნიშნული დავის შესახებ და სარჩელის ასლი არ ქონდა ჩაბარებული) არ წარუდგენია შესაგებელი, არამედ, არაკეთილსინდისიერი განზრახვით და დავის თავისებურ სტილში "90-ანი წლების მეთოდით მოგვარების" იმედი ჰქონდა. ირაკლი დუმბაძემ სასარჩელო წარმოება დაიწყო სწორედ იმის გამო, რომ დავით ზეიკიძემ არ შეასრულა წილის ნასყიდობასთან დაკავშირებული პირობები. ირაკლი დუმბაძე საკუთარ სასარჩელო მოთხოვნას უკავშირებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მასსა და დავით ზეიკიძეს შორის 2018 წლის 21 მარტს დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დარღვეული იქნა ამ უკანასკნელის მიერ და აღნიშნულის გამო ითხოვს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. ის ფაქტი, რომ დავით ზეიკიძის და მისი ვაჟების მხრიდან ადგილი ჰქონდა ირაკლი დუმბაძეზე ზეწოლას არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარიგების დადების ერთადერთი მიზეზი, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას და დადების შემდგომაც, ირაკლი დუმბაძეს ჰქონდა მისი შესრულების მოლოდინი ანუ მისი

დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს.

[13] *მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.*

ნამდვილობის სურვილი. შესაბამისად ცალსახაა, რომ ირაკლი დუმბაძის სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას *(იხ. საკასაციო საჩივარზე ირაკლი დუმბაძის შესაგებლი).*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, *1. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, 2.* ***სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ,*** *3. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.*

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით წარმოდგენილი არ არის პირდაპირი ან ირიბი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა 2018 წლის 21 მარტის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე არსებულ იძულების ფაქტს. სარჩელით მოთხოვნილია ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებიდან გასვლა, წილზე მესაკუთრედ ცნობა, მაგრამ გაუგებარია, სარჩელის აღძვრის მომენტისთვის, რა სახელშეკრულებლო ურთიერთობაში იმყოფება ირაკლი დუმბაძე დავით ზეიკიძესთან. კერძოდ, არსებული ვითარებით, რამდენად აღსრულებადია სასარჩელო მოთხოვნები, თუ მათ შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, 2018 წლის 21 მარტის შემდგომ - შეწყვეტილია. ამასთან, სარჩელში შედავება წარმოდგენილი არ არის, ექცევა თუ არა 21/03/2018 წლის გარიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლისა (*გათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს)* და ამავე კოდექსის 85-ე მუხლის ფარგლებში *(გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების გათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან).* ამასთან, მხარეს შედავება არ აქვს წარმოდგენილი ჩუქების ხელშეკრულებების მიმართ და არ არსებობს სამართლებრივი პრეტენზია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის ფარგლებში *(გათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).* ამასთან, მხარეს დაძლეული არ აქვს მტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლთან მიმართებით *(რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა),* ვინაიდან მოპასუხე დავით ზეიკიძის მიერ დადებული ყველა გარიგება, მოცემულ დრომდე, სარგებლობს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციით.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში, სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია მტკიცებულებები იმ სტანდარტით, რომელსაც სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულად მოითხოვს, არ მომხდარა ამ მტკიცებულებების სრული და ობიექტური განხილვა, არ მომხდარა ერთმნიშვნელოვანი ***დასკვნების გამოტანა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.*** ამიტომაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, სახეზე არ იყო. ***სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნებს*** და სასამართლოს, კანონის თაანხმად, უნდა გაეგრძელებია საქმის არსებითი განხილვა. შესაბამისად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად, ერთმნიშვნელოვანი მტკიცებით, ვერ გამოდგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლ(ებ)ზე მითითება, ვინაიდან დავის საგნის არსიდან გამომდინარე, შემოწმებას მოითხოვდა საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებები ნამდვილობისა და უტყუარობის საკითხი.

მეტიც, მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

განსახილველ შემთხვევაში, დამფუძნებელ სამართლის ნორმაზე მითითება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების განჭვრეტადობსა და შესაძლებლობას. სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ სარჩელში მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები თავად მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება და თუ სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების მხარის მიერ არასწორად მითითებისა და მტკიცებულებების არქონის პირობებში განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს სრულყოფილი სარჩელითა და მტკიცებულებათა ერთობლიობით ხელმეორედ მიმართვა იმავე მოთხოვნით, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით აღარ შეეძლება, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი აღსრულებადი უნდა იყოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, *სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.*

განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის შემთხვევაში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წარმოებული საქმე არსებითად უნდა განიხილოს, რათა შემოწმდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისთვის ***სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სასარჩელო მოთხოვნებს*** და ***არის თუ არა ქვემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული განჩინებები/გადაწყვეტილება, ამ თვალსაზრისით, იურიდიულად დასაბუთებული.*** მნიშვნელოვანია, მხარეებს რეალური შედავებისა და შეჯიბრებითობის პირობებში გააჩნდეს მტკიცების ტვირთის დაძლევის შესაძლებლობა, რადგანაც დავა ეხება, ერთის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვის მოქმედ და ფუნქციურ ბიზნეს-კომპანიას და მეორეს მხრივ, საწარმოს წილების ფლობაზე შედავებით საკუთრების უფლების რეალიზებას.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შეფასდეს სასამართლოს მოტივაცია და მხარეთა იურიდიული ინტერესი დავის კანონიერად გადაწყვეტის პროცესში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც მოსარჩელე მოპასუხესთან სარჩელის აღძვრის მომენტისთვის აფიქსირებს, რომ არ გამორიცხავს დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას *(იხ. სარჩელი და დავის მორიგებით დასრულების შესახებ შესაბამისი გრაფის აღნიშვნა).* შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას - დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით, არსებითად შეილახება თუ არა პროცესის მონაწილე ერთი მხარის თანასწორუფლებიანობა, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, მას პირდაპირ უსპობს თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, თუ არც ერთ მხარეს, ამ დრომდე, არ მისცემია საკუთარი მტკიცების ტვირთვის განხორციელების შესაძლებლობა.

ორგანიზაციის პოზიციით, სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება/გადაწყვეტილება არ უნდა ზღუდავდეს პირის უფლებას მიმართოს სასამართლოს და საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული სასამართლო წესით დაიცვას თავისი სადავოდ ქცეული უფლება და მეორე მხარეს მიეცეს შედავების შესაძლებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, *ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.* საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.*

საქმეზე: *„გახარია საქართველოს წინააღმდეგ“* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით.

კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმალური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი ნებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე, თუმცა ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით (GAKHARIA v. GEORGIA, §§ 32-36).

საქმეზე: *„ბართაია საქართველოს წინააღმდეგ“* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო პროცესზე პირის გამოცხადების საკითხი, სამართალწარმოების ფორმა - ზეპირი თუ ზეპირი მოსმენის გარეშე - და იურიდიული წარმომადგენლობა ურთიერთ დაკავშირებულია და უნდა გაანალიზდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ,,სამართლიანი სასამართლოს'' უფლების ფართო კონტექსტში.

სტრასბურგის სასამართლო მსჯელობს: ***მომჩივანს - სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს, მიეცა თუ არა გონივრული შესაძლებლობა გაცნობოდა და კომენტარები გაეკეთებინა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე. აგრეთვე, წარმოედგინა თავისი საქმე იმ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა. სამართლიანი სასამართლოს უფლება, სხვებს შორის, შედგება მხარეთა უფლებისგან, წარადგინონ დასკვნები, რომლებსაც ისინი საქმესთან მიმართებით სათანადოდ მიიჩნევენ. ვინაიდან კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებები, აღნიშნული უფლება ეფექტიანად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანს ფაქტობრივად „მოუსმენენ“, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლოები მის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს სათანადოდ განიხილავენ (BARTAIA v. GEORGIA §§ 26-27).***

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა #12
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“,
ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

„ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა,

2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავრიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორცილებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.